რეზონანსული პროექტი რეზონანსული შედეგებით

პროექტმა „ჩემი სოფლის ისტორია“ მემატიანის მისია იკისრა

თემურ მარშანიშვილი

როგორც ჩანს, ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ (დირექტორი ავთანდილ სირბილაშვილი) დაფუძნებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაზე სწორი გათვლა გააკეთა, რაზეც ამ დარგებში წინ გადადგმული შთამბეჭდავი ნაბიჯები მეტყველებს. ვერ გეტყვით, ხსენებული ა(ა)იპ-ის მერამდენე პროექტია „ჩემი სოფლის ისტორია“, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული და შედეგიანი რომ აღმოჩნდა, ამის თქმა არგუმენტირებულად შემიძლია.

მოკლედ, 21-22 ოქტომბერს ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებმა თავიანთი ისტორიები გამოამზეურეს – ზოგმა კალმით, ზოგმა ფოტოაპარატით, ზოგმა ვიდეოკამერით, ზოგმაც კომბინირებულად. როგორც ჟიურის ერთ-ერთ წევრს, შემიძლია ვთქვა, რომ ორი დღის განმავლობაში, ჩემს კოლეგებთან, კონკურსის მონაწილეებთან და ორგანიზატორებთან ერთად, ბახვში, გურიანთაში, ლიხაურში, ვაკიჯვარში მერიაში, შრომაში, ბაღდათში, შემოქმედში, ჭანიეთში, ქვედა ბახვში, მაკვანეთში, ბოხვაურში, ნაგომარსა და ნარუჯაში ვიმოგზაურე და მეტად საინტერესო, გურიისა და გურულებისათვის დამახასიათებელ საკმაოდ დინამიკურ, ეთნოგრაფიულად კოლორიტულ ისტორიის ფურცლებს გადავავლე თვალი. თუ ჟამთა სრბოლაში ეს ისტორიის ფურცლები არ გახუნდება, სოფელში მიგრაცია შეწყდება, სპორტული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, სოფელს მეორე სუნთქვა გაეხნება, ეს უდავოდ ამ პროექტის დამსახურებაც იქნება.

რაც ყველაზე მთავარია, ეს ისტორიები ამ სოფლის ახალგაზრდებმა დაწერეს და დაასურათხატეს, რასაკვირველია, თავიანთი პედაგოგების გვერდში დგომით. ეს ის ჯიშიანი ახალგაზრდობაა, რომელმაც კარგად იცის, რომ ჯიში ამერიკაშიც ამოყოფს თავს, მაგრამ უმჯობესია ადგილის დედაში ჯიშობდეს.

თუ ვინმემ წააგო, ეს მხოლოდ ის სოფლებია, რომლებმაც აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა არ ან ვერ მიიღეს, მაგრამ იმედია, ისინიც იტყვიან თავიანთ სათქმელს წიგნში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ისტორია“, რომელსაც მალე გამოსცემს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ახლა კი ნომინაციებისა და ნომინანტების შესახებ:

საუკეთესო ფილმი – პრეზენტაციაზე ნამდვილი ფურორი მოახდინა ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლემ ლადო ლომჯარიამ, რომელმაც წარმოადგინა ნესტორ კონტ-

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №42 (10132), 26 ოქტომბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ნაცმოძრაობის ოფისებთან საპროტესტო აქციები გაიმართა

ალიონი. გასული კვირის ორშაბათიდან დაწყებული „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ ოფისებთან საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა. რიგ მუნიციპალიტეტში ნაცმოძრაობის ოფისების კარები აჭედეს, ბევრგან წითელი საღებავები შეასხეს ოფისებს. მოქალაქეთა აღშფოთება უკრაინულ საიტებზე გავრცელებული სამეგრელოში სამალავებში აღმოჩენილი ადამიანის წამების ამსახველი კადრების იყო.

ქ. ოზურგეთში მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა აქცია ნაცმოძრაობის ადგილობრივ ოფისთან გამართა. ისინი ნაცმოძრაობის პარტიის წევრებს მოუწოდებდნენ დაეტოვებინათ „მამათმავლების“ პარტია.

აქციის დროს ოფისში აღნიშნული პარტიის ოზურგეთისა და ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარეები დავით მჟავანაძე და კახა ასკურავა, „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი ბესო ქათამაძე და კიდევ რამდენიმე წევრი იმყოფებოდნენ.

აქციის მონაწილეებმა პარტიის ოფისზე მიამაგრეს წარწერა „ლიკვიდირებულია.“

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო სამსახური.

რაიმე სახის ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

„თავისუფალი“ ზონის წარმომადგენელმა ბესო ქათამაძემ ციხის კადრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ამის გაკეთება კი მთავრობას შეუძლია.

ქ. ლანჩხუთში, „ქართული ოცნების" მხარდამჭერებმა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის კარები მიადუღეს. აღნიშნულ ფაქტს დაპირისპირება მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობისა" და „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს შორის.

„მოვითხოვთ გაუქმდეს ეს ორგანიზაცია, ესენი ქვეყნისთვის სამარცხვინოები არიან“, – აცხადებენ „ქართული ოცნების" მხარდამჭერები.

დაბა ჩოხატაურში უცნობმა პირებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს წითელი საღებავები შეასხეს.

„ექვთიმეობის“ დღესასწაული გაიმართა

ალიონი. მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის" წმინდანად შერაცხვის დღიდან 13 წელი გავიდა. ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურში „ექვთიმეობის“ დღესასწაული ტრადიციული ღონისძიებებით აღინიშნა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში აღევლინა წმინდანის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი, გაიმართა კონფერენცია, რომელიც ექვთიმე ღვთისკაცის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წმინდანის ძეგლი გვირგვინით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს. მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, შემოქმედისა და ოზურგეთის ჩაის საწარმოების მიერ დამზადებული პროდუქციის დეგუსტაცია. სტუმრებს ასევე შეეძლოთ დაეჭაშნიკებიათ აკაკი ღლონტის, ბესო მჟავანაძის, სოსო ხინთიბიძის მიერ წარმოდგენილი „ჩხავერის,“ „საკმიელას,“ „კამურის“, „ტაგიჭრას“ და სხვა ღვინოების ნიმუშები. სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლებმა კი, სპეციალურად მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებში ადგილობრივი წარმოების პროდუქტები გამოფინეს.

დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საპატიო მოქალაქეები.

ექვთიმე თაყაიშვილის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების: „შემოქმედი“, „იადონი“, „ურეკი“, „ბალავარი“, „ზენაარი“, ასევე, ანსამბლ „ქართული ხმებისა“ და მომღერალ მაკა ზამბახიძის კონცერტით დასრულდა.

ღონისძიებას გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, გუბერნატორის მოადგილეები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, სასულიერო პირები, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელი და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ინტელექტუალური და კულტურული ძალის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. რომ არა მეცნიერის თავდადება, დღეს ისტორიას არ ექნებოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა, ქვეყნის სხვადასხვა ეკლესიების საგანძური, რომელსაც საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესმა სიცოცხლის ბოლომდე უპატრონა და მიუხედავად, უდიდესი სიდუხჭირისა, ხელუხლებლად დააბრუნა საქართველოში. ზოგი ამ განძს პირადი გამდიდრების წყაროდ აქცევდა. მის მაგალითზე მინდა გაიზარდოს ჩვენი შვილები", - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

ვულოცავთ!

ექვთიმეობის დღესასწაულზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ მინიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეები დაასახელა.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის სპეციალური სიგელი გადაეცა პედაგოგსა და პოეტს **მალვინა თოიძეს;** სოფელ ლიხაურში განათლებისა და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის – **ნინო ნიშნიანიძეს;** ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, – **სიმონ ბებურიშვილს;** ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული მიღწევებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განსაკუთრებულად წარმოჩენისთვის დაჯილდოვდა **ედიშერ ჭელიძე.**

გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო შემსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები სიახლეები მკითხველისთვის

ალიონი. მიმდინარე წელს ფულადი სოციალური დახმარების გაცემის წესში ცვლილებები შევიდა რამაც საზოგადოებაში ცოტა არ იყოს დაბნეულობა გამოიწვია. ამიტომ გადავწყვიტეთ სიახლეების შესახებ მკითხველისთვის ინფორმაცია კიდევ ერთხელ მიგვეწოდებინა.

ახალი რეგულაციით სოციალურად დაუცველები ფინანსურ დახმარებას კატეგორიების მიხედვით მიიღებენ.

კიდევ ერთი სიახლე, თუკი აქამდე ერთსულიან ოჯახზე შემწეობა იყო 60 ლარი, ხოლო ორ და მეტსულიან ოჯახებს ყოველ წვრზე ემატებოდა 48 ლარი. ამიერიდან ფულადი დახმარება ოჯახის ყველა წევრისთვის ერთნაირი იქნება. შესაბამისი კანონი ძალაში 2015 წლის პირველი მაისიდან შევიდა.

ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის, სოციალური აგენტის ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორაციის საფუძველზე შეივსება „ოჯახის დეკლარაცია’ ოჯახის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანის და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე, ფულადი სოციალური დახმარება და სხვა.

– 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით.

– თუ სარეიტინგო ქულა 30001-ზე მეტი მაგრამ 57001-ზე ნაკლებია 50 ლარით.

– 57001-დან 60001 ქულამდე 40 ლარით.

– 60001-ზე მეტი მაგრამ 65001-ზე ნაკლების შემთხვევაში 30 ლარით.

– ოჯახი რომლის სარეიტინგო ქულაც 100 001-ზე ნაკლებია არასრულწლოვან წევრებზე დამატებით მიიღებს ფულად დახმარებას 10 ლარის ოდენობით.

ფულად დახმარებას ოჯახი მიიღებს საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლიდან მეორე თვეს.

ფულადი დახმარება არ გაიცემა; სასჯელარსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისათვის; იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირებისთვის.; იმ პირებისთვის რომლებიც ვადიან სამხედრო სამსახურში იმყოფებიან; ქვეყნის გარეთ ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირებისთვის; ასევე სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფებისთვის.

უბედურ შემთხვევას 30 წლის მამაკაცი ემსხვერპლა

გასული კვირის ოთხშაბათს სოფელ გურიანთაში მდებარე აგურის საამქროში უბედური შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. 30 წლის დვაბზუ-მელექედურის საზღვარზე მცხოვრები მამუკა აბაშმაძე დანადგარმა ჩაითრია. დაშავებული მისივე მანქანით საავადმყოფოში მიიყვანეს, რა დროსაც იგი გარდაიცვალა.

შეხვედრა დეპუტატთან

მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს,სოფელ მერიის ბიბლიოთეკის გამგის, მზევინარ მჟავიას ორგანიზებით მოეწყო სოფლის მოსახლეობის შეხვედრა დეპუტატ გენადი მესხიძესთან და ადგილობრივი თვითმართველოის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე ბიბლიოთეკის გამგემ, მზევინარ მჟავიამ მოსახლეობას წარუდგინა ახალი პროექტი „გაუფრთხილდი გარემოს“-- დავასუფთაოთ ჩვენი სოფელი. პროექტი ითვალისწინებს გარემოს დასუფთავებისა და სოფლის ცენტრის კეთილმოწყობას.

გაზიფიცირება, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, ცენტრალიზებული წყლის სისიტემა, ეს ის საკითხებია, რომელიც შეხვედრის განხილვის თემა გახდა.

მოსახლეობამ ამ პროექტს მხარი დაუჭირა და სკოლის დირექტორმა, ბატონმა ავთანდილ კეჭაყმაძემ დახმარება აღუთქვა.

თოხაძე პირველი იყო, სირაძე – მესამე

16-18 ოქტომბერს ჩოხატაურში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ხვიჩა ცინცაძისა და ზურაბ ბიბინეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა გიორგი თოხაძემ 58 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. 85 კგ წონით კატეგორიაში კი, მესამე იყო იური სირაძე. ოზურგეთელთა მწვრთნელია დავით მაჭარაშვილი.

„არაფერი ჩვენს შესახებ, ჩვენს გარეშე“

ძველ-ის გურიის რეგიონალური კომიტეტის ახალგაზრდული ფრთა ახორციელებს პროექტს-„ვსწავლობთ არა სწავლისთვის, არამედ ცხოვრებისთვის“.(დონორი- „ქალთა ფონდი საქართველოში“)

პროექტი ითვალისწინებს გოგონათა გააქტიურებას მათი უფლებების დასაცავად. პროექტი ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 4 თემში- მაკვანეთი, ნასაკირალი, ნარუჯა, მელექედური. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული ფრთის წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგები ქალთა უფლებებისა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე. სამიზნე თემებში ჩამოყალიბდა გოგონათა კლუბები,რომლებიც თანატოლ განმანათლებლები არიან თავიანთ თემებში, ხვდებიან თემის ახალგაზრდებს, ეწყობა საინტერესო დისკუსიები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული როგორც გოგონები, ასევე ვაჟები. ამ ეტაპზე ტარდება სპორტული შეჯიბრებები დევიზით- „ჩვენ თანასწორნი ვართ“. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია აქციის მოწყობა ქალთა უფლებების დასაცავად. ნოემბრის თვის ბოლოს მოეწყობა პროექტის პრეზენტაცია, თემების კოორდინატორები ოზურგეთის საზოგადოებას ვრცლად მიაწვდიან ინფორმაციას ჩატარებული მუშაობის შესახებ.

თამარ ცხომელიძე,
ელიკო მიქელაძე

მან ჩვენი იმედები გაამართლა

ოზურგეთში რამდენიმე ათეული წელია ვცხოვრობ, მაგრამ ახლა, როგორც არასდროს, ისე მეამაყება ოზურგეთელობა. მიხარია, ჩვენი ქალაქის ქუჩებს განახლებულს და გალამაზებულს რომ ვხედავ. ოზურგეთი დღითიდღე რომ მშვენდება ეს ყოველივე ჩვენი ქალაქის არჩეული მერის - ბეგლარ სიორიძის დამსახურებაა. ვფიქრობ, ოზურგეთის მოსახლეობამ ჭეშმარიტად სწორი არჩევანი გააკეთა ქალაქის თავკაცად ეს წარმატებული ბიზნესმენი რომ აირჩია. მე მისი ყოფილი თანამშრომელი ვარ თხილის საწარმოში და ნამდვილად ბევრი რამ ვიცოდი მისი განუსაზღვრელი ენერგიის, შრომისმოყვარეობის, კეთილგონიერების, პრინციპულობის, შეუვალობის, უკომპრომისობისა და სხვა უამრავი პოზიტიური თვისებების შესახებ, ამიტომაც აქტიურად ვუჭერდი მას მხარს ქალაქის მერის პოსტზე არჩევისას, მაგრამ ჩვენს ქალაქში მიმდინარე სამუშაოებმა, ოზურგეთის ესოდენ განახლებამ, მასზე კიდევ უფრო დიდი წამოდგენა შემიქმნა. მისი „სიტყვა საქმიანი და საქმე სიყტყვიანი...“ უკვე წელიწადზე მეტია ოზურგეთის რეალობად იქცა. ხშირად შევსწრებივარ ჩვენი ქალაქის ქუჩებში მიმდინარე მშენებლობებისას ოზურგეთის მერს, ბეგლარ სიორიძეს, სხვადასხვა ობიექტის დათვალიერებისას არაერთხელ მიფიქრია მასთან მისვლა და მადლობის გადახდა, მაგრამ მოვრიდებივარ, რადგან ვიცი, იგი, როგორი რუდუნებით ეპყრობა ყველა საქმეს და არ მინდა მისი ყურადღება სხვა მხრივ გადავიტანო. სათქმელი კი ბევრი მაქვს, ძალიან ბევრი. ამიტომაც გადავწყვიტე სახალხოდ, პრესის ფურცლებიდან ვუთხრა მას დიდი მადლობა.

საქმე ისაა, რომ წლებია უსახლკარო ვარ. დროებით საცხოვრისში ჩემს შვილიშვილებთან ერთად შეხიზნული მუდამ ვოცნებობდით, რომ მუდმივი საცხოვრებელი გვქონოდა და ეს ოცნება ჩვენი ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ, შეგვისრულა. უბინაობა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა და ჩემს მდგომარეობაში არაერთი ოზურგეთელია, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო საცხოვრისი არ გააჩნიათ და ახლობლების კარდაკარ თუ ნაქირავებ ბინებში სახლობენ. უსახლკაროთა პრობლემის გადაწყვეტა ბეგლარ სიორიძის ერთ - ერთი წინასაარჩევნო დაპირება გახლავთ, რომელიც მან პირნათლად შეასრულა და მისი წყალობით 55 უსახლკარო ოჯახი ახალ წელს საკუთარ ჭერქვეშ შეხვდება. ამჯერად ყოფილი სამშობიარო სახლის კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს. ნორმალური საცხოვრებელი გარემო, ბუნებრივი აირი, წყალი, ინდივიდუალური სველი წერტილები ... ყველაფერი კეთდება სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. ამიტომაც ქალაქ ოზურგეთში მცხოვრები არაერთი უსახლკაროს სახელით ჩვენი ქალაქის მერს, ბეგლარ სიორიძეს, საჯაროს მინდა დიდი მადლობა ვუთხრა. მინდა იცოდეს, რომ მან ჩვენი იმედები გაამართლა და ჩვენ, ოზურგეთელები, მისი უზომო მადლიერები ვართ.

ბეგლარ სიორიძის ნამოღვაწარზე თაობები ისაუბრებენ, როგორც ჩვენი ქალაქის პირველ, ყველაზე წარმატებულ თავკაცზე.

ლია ტუღუში

რეზონანსული პროექტი რეზონანსული შედეგებით

პროექტმა „ჩემი სოფლის ისტორია“ მემატიანის მისია იკისრა

რიძეზე შექმნილი ფილმი. ეს იყო ერთადერთი ნაწარმოები, რომელზეც ჟიურის წევრები ერთსულოვანი დავრჩით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმის ავტორობაზე პროფესიონალი კინოდოკუმენტალისტებიც არ იტყოდნენ უარს. ეს ფილმი არ უნდა დაიკარგოს, ამ ფილმს და მის ავტორს კი მწვანე შუქი უნდა მიეცეს უფრო დიდ ასპარეზზე.

სულ სხვა თემაა, მაგრამ ვინაიდან გურულებს იუმორი ყოველთვის ჯიბეში უდევთ და ფოლკლორისა და ლიტერატურის ამ ჟანრმა წარმოდგენილ ისტორიებშიც გაჟონა, ჟიურის წევრებმა ორი სიტვით თავს მასხრობის უფლება მივეცით: ფილმის ტექტობრივ ნაწილში სიტყვა „მაუზერისტი“ ხსენდა. „მაუზერისტი“ თუ „მაიზერისტი“, – წავიხუმრეთ და ჟიურის თავმჯდომარეს მაიზერ ცელაძეს გადავხედეთ.

საუკეთესო პრეზენტაცია – ამ ნომინაციაში მივედით შემდეგ დასკვნამდე: თუ პრეზენტაციას აკეთებ, ისე უნდა გააკეთო, როგორც ბოხვაურის საჯარო სკოლის (დირექტორი თამარ ყურაშვილი) მოსწავლემ მარიამ ღლონტმა გააკეთა.

საუკეთესო საკონფერენციო თემა – ქულობრივი შეფასებისა და მცირეოდენი ბჭობის შემდეგ, აქაც ვერ ავცდით ლადო ლომჯარიას ფენომენს, რომელიც სავსებით ლოგიკურად გახდა ამ ნომინაციის გამარჯვებული.

საუკეთესო ისტორიის ფურცელი – შრომის საჯარო სკოლის (დირექტორი რუსუდან ცეცხლაძე) თამთა კვაჭანტირაძის, ნათია ძნელაძის და ნინო ბარამიძის „სამაიამ“ მართლაც საუკეთესო ისტორიის ფურცელი დადეს. თბილისის ვაკისაგან განსხვავებით, ამ სოფლის ვაკეში ყავას ნამდვილად არ ამოუხეთქავს, მაგრამ ისტორიის სამკომპონენტიანმა (ტექსტი, ფოტო, ვიდეო) ნიაღვარმა დიახაც რომ იფეთქა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთმა სურათმა სახელწოდებით „მეჩაიეთა ცეკვა“. როგორც პრეზენტატორებმა გვითხრეს, ეს ცეკვა ლაითურში ქორეოგრაფმა ვაჟა ახვლედიანმა დადგა.

ორიგინალური გადაწყვეტისათვის – ამ ნომინაციაში სოფელ ბაღდათელებმა იყოჩაღეს, პრეზენტაცია მიანდეს კახელ ბიჭს ირაკლი ჭაღალიძეს, რომელიც სოფლის დეპუტატის ინგა დუმბაძის ოჯახში ცხოვრობს და არც შემცდარან. ირაკლიმ ისე იმპროვიზირებულად ჩააბულბულა თითქმის ოცწუთიანი მასალა, ერთხელაც არ ჩაუხედავს ტექსტში.

უნიკალური მასალის აღმოჩენისათვის – ნომინაციაში საუკეთესო აღმოჩნდა ჭანიეთის საჯარო სკოლის პედაგოგის მანონი ლომჯარიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა. პრეზენტაციას ესწრებოდა ამ სოფლის მემატიანე, ქალბატონი სულიკო ლომჯარია.

საუკეთესო ფოტომასალისათვის – ლაითურის საჯარო სკოლის პედაგოგის ლია კოტრიკაძის ხელმძღვანელობით, აქაურმა მოსწავლეებმა ანი თუთისანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ანა ნინიძემ და ანა ურუშაძემ ყველაზე უკეთ შექმნეს ამ მრავალეროვანი დაბის ილუსტრირებული ისტორია.

სიურპრიზი კონკურსანტისაგან – ასეთი აღმოჩნდა ხატია გიორგაძის ხელმძღვანელობით, ვაკიჯვრის საჯარო სკოლის მოსწავლის ნატა სიამაშვილის მიერ წარმოდგენილი ფილმი სოფელ ვაკიჯვარზე.

ყველა ნომინანტი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით.

არანაკლებ ყურადსაღები და ღირებული მასალები დადეს კონკურსში მონაწილე სხვა სოფლებმაც, რომელთა წარმომადგენლებს გადაეცათ სიგელები პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის.

პროექტის ავტორებისა და ორგანიზატორების ავთანდილ სირბილაშვილისა და ხატია გიორგაძის თქმით, პროექტი დამთავრდა, პროექტი გრძელდება.

როგორც პრეზენტაციის პირველ დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ თქვა, ის მზად არის, აღნიშნულ საკითხზე კვირაში ერთ დღეს შეხვდეს ამ განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა, ერთობლივი ძალისხმევით, ბოლომდე მიიყვანონ და სრულყონ მომავლის სამაგიდო წიგნი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ისტორია“.

გურიაში ტურიზმის განვითარებისთვის

ალიონი. გურიის რეგიონში ტურიზმის მიმართულებით მომუშავე სამსახურების ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე რეგიონალური ტურიზმის განვითარებაში მუნიციპალიტეტების ჩართულობაზე იმსჯელეს. ასევე, ხაზი გაესვა ერთობლივი ძალისხმევითა და კოორდინირებით დარგის განვითარების აუცილებლობას. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებისთვის სამუშაო ჯგუფების შექმნას.

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას გურიის გუბერნატორის მოადგილეები და ოთხივე მუნიციპალიტეტის ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრას გურიის გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი უძღვებოდა.

გელა ზოიძე, *ტურიზმის აიპის ხელმძღვანელი, ლანჩხუთი:*– ჩვენ, უკრაინაში, ხერსონის ოლში გამართულ ტურისტულ სემინარში „ტავრიის ჰორიზონტები“ ვმონაწილეობდით. გვინდა მათი გამოცდილება გავიზიაროთ. გარდა ამისა, ურთიერთობა გვაქვს ბელორუსებთან. ვიტებსკის ოლქში ძალიან განვითარებულია სამონადირეო ტურიზმი. აქ ერთ-ერთ რაიონში 192 ტბაა. სამონადირეო ტურიზმს აქვს პერსპექტივები გურიაში. გარდა ამისა, გვინდა პოლიგრიმობას დავუთმოთ სათანადო ყურადღება. მოსაწყობია შესაბამისი ადგილი ჯიხეთის მთაზე, სადაც შუა საუკუნეების ტაძარი იდგა და მენელსაცხებლე დედები ცხოვრობდნენ.

წელს, მაისში ესპანეთში, მადრიდში მიგვიწვიეს ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაზე, მაგრამ უსახსრობის გამო წასვლა ვერ შევძელით.

გია ებრალიძე, *გუბერნატორის მოადგილე:–* კარგი იქნება, თუ გაგვაცნობთ, ტურიზმის კუთით რა ცვლილებებია ბიუჯეტში..

ფირუზ გუჯაბიძე, *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილების უფროსი:* –ბიუჯეტში ტურიზმიდან შემოსავლები საკურორტო სეზონს უკავშირდება. სამწუხაროდ, წელს წინა წელთან შედარებით ნაკლები იყო ტურისტები ნაკადი. ეს უკრაინაში მიმდინარე პროცესებსაც უკავშირდება და ქუთაისის აეროპორტიდან სამგზავრო გადაყვანების გაძვირებას. კარგი იქნება რეგიონის ტურისტული პოტენციალის ერთიან ბაზას თუ შევქმით.

ავთანდილ სირბილაშვილი, *აიპის ხელმძღვანელი, ოზურგეთი:–* საინტერესო ღონისძიებები ტარდება ჩვენს მუნიციპალიტეტებში: „კალანდობა,“ „ასკანობა,“ „შემოქმედობა,“ „ექვთიმეობა,“ „გომისმთობა“და ა.შ. ყველა ესენი უნდა გამოვიყენოთ ტურისტული კომპანიების მოსაზიდად.

კახა ტოტოჩავა, *სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელი:–*ფესტივალებს მჭიდრო ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ტურიზმის დეპარტამენტთან, ტურისტულ კომპანიებთან, უნდა მოვიწვიოთ სხვა რეგიონები.

დავით კვერღელიძე, *შპს „გურია თრეველის“ ხელმძღვანელი:–* სახელმწიფო შპს 2004 წელს შეიქმნა, როგორც სახელმწიფო შპს. თავიდან ეკონომიკის სამინისტრო აფინანსებდა, შემდეგ ადგილობრივ ბიუჯეტზე გადავიდა. ჩვენ ვატარებთ ფესტივალებს „აგიდელა,“ „აგუნა,“ წელს შავი ზღვის თასის გათამაშების მასპინძლებივიყავით ალპაგუტში...ტურიზმის ცენტრი ქ. ოზურგეთში უნდა იყოს, შუალედური პუნქტები კი ურეკში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში. უნდა შეიქმნას უფასო მომსახურების დახლი. უკარნახე პირობები – გეყოლება დამკვეთი!

ლაშა ღლონტი, *გუბერნიის თანამშრომელი:–* თუ სახელმწიფო შპს გაძლიერდება, კერძო ინიციატივებს ჩაახშობს..

სოსო ერქომაიშვილი, *გუბერნატორის მოადგილე:* –თქვენ უნდა დაარწმუნოთ გამგებლები, მერი, თუ ფულს ჩადებენ, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ტურიზმს.

ლიკა ღლონტი, *გუბერნიის თანამშრომელი:* –აჭარაში მუნიციპალიტეტებმა ჩადეს თანხები, ახლა კერძო კომპანიები წარმატებით მუშაობენ.

ბესო მელუა, *ქ. ოზურგეთის მერიის აპარატის უფროსი:–* ქ. ოზურგეთში, როგორც რეგიონულ ცენტრში ახალი საინფორმაციო ცენტრი უნდა შეიქმნას. კარგი ვებ-გვერდი უნდა გაკეთდეს.

კახა ტოტოჩავა: –არ გვაქვს პროდუქტი..

სოსო ერქომაიშვილი:– ის, რაც იყო დღემდე, როგორ უნდა განვითარდეს, რა მექანიზმით.როგორ გამოვიყენოთ ურეკის, გრიგოლეთის, ბახმაროს, გომისმთის ტურისტული პოტენციალი..

უნდა შეიქმნას სასტარტო ვებ-გვერდი რეგიონული ტურიზმის...

ირინა შალამბერიძე, *ქ. ოზურგეთის მერიის თანამშრომელი:–* ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი განახლებულ სასტუმრო „გურიაში“ უნდა განთავსდეს. უნდა გვქონდეს ერთიანი ვებ-გვერდი.

ანა შარაშენიძე, *ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილება:–* საჭიროა შეიქმნას ტურიზმის ერთიანი ცენტრი.

ფირუზ გუჯაბიძე:–კახეთის რეგიონს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. იქ კარგადაა შემონახული სიძველეები. მარნები ყველა ფეხის ნაბიჯზეა. ჩვენ კი აქ ერთდღიან, ორდღიან და სამდღიან ტურებს უნდა მივცეთ უპირატესობა.

ქეთი მოისწრაფეშვილი, *გუბერნატორის პირველი მოადგილე:–* წელს ბულგარეთში ვიყავით საერთაშორისო სიმპოზიუმზე. იქაურ კაფეში წაგვიყვანეს– მხოლოდ ეროვნული კერძები, მომსახურე პერსონალი ეროვნულ სამოსშია, მუსიკაც მხოლოდ ბულგარული. ძალიან მოვიხიბლეთ. ჩვენ მალე გვექნება ასკანის ღვინის მარანი. ტურისტებს ვაშნარის ციხე-ქალაქს და ასკანის ციხესაც ვაჩვენებთ..

გია ებრალიძე:– იქნებ თქვენეული ხედვა წარმოადგინოთ ელექტრონულად..

მსგავსი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები პერიოდულად გაიმართება, სადაც განიხილავენ და შეიმუშავებენ ტურიზმის განვითარების ხელშემწყობ პროექტებსა და ღონისძიებებს.

„თავისუფალმა დემოკრატებმა" ახალი კამპანია წამოიწყეს

ალიონი. „თავისუფალი დემოკრატების" ადგილობრივმა ორგანიზაციამ ახალი კამპანია წამოიწყო რომელიც კულტურული მემკვიდრეობისადმი მეტი ყურადღების მიქცევას ისახავს მიზნად. როგორც ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერმა, თემურ სალუქვაძე განაცხადა იდეა ახალგაზრდულ ფრთას ეკუთვნის. სწორედ ახალგაზრდა „თავისუფალ დემოკრატებთან" ანა ბუაჩიძესთან, თამთა ხუციშვილთან და ნოდარ სირაძესთან ერთან გამართა პრესკონფერენცია კასული კვირის პარასკევს, დემოკრატოული ჩართულობის ცენტრში. „ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დავანახოთ საზოგადოებას როგორია ჩვენი „თავისუფალი დემოკრატების" დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ რომ უნდა მოვძებნოთ ბალანსი თანამედროვე მოთხოვნებსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას შორის" – განაცხადა სალუქვაძემ.

შეხვედრაზე მიმოიხილეს გურიის კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ძეგლი.

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ მიწვევის მიუხედავად შეხვედრაზე არ მივიდა შესაბამისი სამსახურის რამდენიმე წარმომადგენელი.

თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	ძირ. შენობის ფართი კვმ	„ზე" 10 % (ლარი)	„ზიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ნატანები, შეკვეთილი	26.01.48.173	430		3010	1505	50	30 100
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ნატანები, შეკვეთილი	26.01.46.352	425		2450	1225	50	24 500
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ნატანები, შეკვეთილი	26.01.45.534	121		605	302,5	50	6 050
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნु-ლების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა	დაბა ნარუჯა	26.27.06.071	288	252,93	1466,5	733,25	50	14 665
5	არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ურეკი	26.28.20.094	6		60	30	50	600
6	არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ურეკი	26.28.13.236	88		1056	528	50	10 560
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ოზურგეთი	26.12.21.059	79		79	39,5	50	790
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნु-ლების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. მერია	26.05.38.018	1323	592	3691	1845,5	50	36910

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენ-დარული დღის ვადაში;

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ზე" 10 % (ლარი)	„ზიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. სილაური	26.09.15.097	12 065	301,6	150,8	50	3016,25
2	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.16.17.133	23 717	1067,3	533,6	50	10672,7
3	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.16.17.134	19 166	766,6	383,3	50	7666,4
4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.16.17.135	34 877	1220,7	610,3	50	12207
5	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.16.17.136	28 335	793,4	396,7	50	7933,8
6	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ლაითური	26.25.13.131	20 823	583,0	291,5	50	5830,44

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

"თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
აცხადებს პირობიან აუქციონს (ამორტიზებული შენობების დემონტაჟი)"

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	ძირ. შენობის ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	ყოფილი კლუბის შენობა	დაბა წარუჯა	26.27.07.005	1267	260	130	50	2 600
2	ყოფილი კლუბის შენობა	დაბა ლაითური	26.25.13.003	924.7	199,2	99,6	50	1 992
3	ყოფილი სპორტდარბაზი	სოფ. შრომა	26.02.22.048	928.04	1392	696	50	13 920,6

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

სააუქციონო პირობები

ა. ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 8 თვის ვადაში - ობიექტის დემონტაჟი და ობიექტზე მიმაგრებული ტერიტორიის მოწესრიგება-გასუფთავება (დემონტაჟის შედეგად დარჩენილი საამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა)

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს
იჯარით წესით სარგებლობისათვის"

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	სულ ფართი კვმ	გასაქირავებელი ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	გასაქირავებელი ქონების სრული ღირებულება(ლარი)	გასაქირავებელი ქონების სრული ღირებ-ბის 10%	სულ ქირის ფასი (ლარი)
1	ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში	სოფ. ლიხაურ	26.16.19.007	1749	207	41,4	20,7	50	4140	414	414
2	ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში	სოფ. ლიხაურ	26.16.19.007	1749	192	38,4	19,2	50	4000	384	384
2	ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში	სოფ. ლიხაურ	26.16.19.007	1749	162	32,4	16,2	50	3240	324	324

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

"თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
აცხადებს აუქციონს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე"

№	დასახელება	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი
1	ავტომობილი „VAZ -21214	MKM 848	2004	155	77,5	50	1550

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

"აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;

" „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;

" დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივ-მოქმედი სააუქციონო კომისიაში"; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 26 ოქტომბრიდან 25 ნოემბრის 12 სთ-მდე;"

აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 25 ნოემბერს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია" ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



უილიამ შოკლი (1910-1989). უილიამ შოკლი 1936 წელს მუშაობდა ბელის სატელეფონო ლაბორატორიაში. 1939-1945 წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კვლევების დირექტორად აშშ-ის სამხედრო ფლოტში, წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის დივიზიონში.

1947 წელს შექმნა პირველი ტრანზისტორი ბარდინსა და ბრეტენთან ერთად. 1954 წელს მუშაობდა აშშ-ს თავდაცვის სამინისტროში კვლევების დირექტორის მოადგილედ.

1960-იან წლებში თავის ახირებულ შეხედულებებში, ერს რასისა და ინტელექტის მიხედვით ჰყოფდა.

ტრანზისტორის გამომგონებელი თავისი კარიერის გვიანდელ პერიოდში წინააღმდეგობრივ ფიგურად მოგვევლინა.

შოკლიმ მიატოვა ელექტრონული ინდუსტრია და მუშაობა რასების ინტელექტის მემკვიდრეობით თეორიაზე დაიწყო. მან დაასკვნა, რომ თეთრ რასას მემკვიდრეობით უფრო მაღალი ინტელექტი აქვს, ვიდრე სხვა რასებს.

საჭიროა მათ ჩაატარონ სტერილიზაცია, რომ ხელი არ შეუშალონ კაცობრიობის ინტელექტუალურ ევოლუციას. იგი უფრო ამ შეხედულებებისათვის დაამახსოვრდათ, ვიდრე მისი ადრეული მეცნიერული მიღწევები.

მისი სახელი ისტორიაში აღიბეჭდა რასებთან მიმართებით გამოთქმული რადიკალური მოსაზრებებით.

ალან ტურინგი (1912-1954). ტურინგის სტატია „რიცხვების გამომთვლელის შესახებ“ თანამედროვე კომპიუტერული ეპოქის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

თანამედროვე მეოცნებე ალან ტურინგი, რომლის სახელიც დაკავშირებულია კომპიუტერთან, პირველ რიგში, გამოჩენილი მათემატიკოსი იყო. კურტ გოდელის (1906-1978) მათემატიკური „არასრულყოფილების თეორემის“ საპასუხოდ, ტურინგმა გამოთვლების გასაადვილებლად შექმნა კომპიუტერის წინამორბედი.

ტურინგის გამოგონება მოიცავდა თანამედროვე კომპიუტერების ყველა ფუნდამენტურ ასპექტს, როგორიცაა: კითხვისა და წერის საშუალება,



მონაცემების წაშლა, მეხსიერება, ცენტრალური პროცესორი და პროგრამირების კონცეფცია მათემატიკური ინსტრუქციებით. აქ აღწერილი დანადგარი არასდროს აწყობილა, მაგრამ 1960-იანი წლებიდან მისი მოდიფიცირებული ვერსია ფართოდ იქნა წარმოებული.

ტურინგს არა მარტო ეპარებოდა ეჭვი, რომ კომპიუტერები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ითამაშებდნენ მომავალი თაობებისათვის, არამედ დარწმუნებული იყო, რომ ისინი მიაღწევდნენ განვითარების უმაღლეს დონეს და შეძლებდნენ „ფიქრს“ ადამიანების მსგავსად. ტურინგს სჯეროდა, რომ ეს დონე მიღწეული იქნებოდა 2000 წლისათვის. ეს ნაადრევი შეფასება იყო, თუმცა დღეისათვის უფრო ადვილია ამის განსაზღვრა, ვიდრე 50 წლის წინ. ცხარე კამათი ხელოვნური ინტელექტის შესახებ დღესაც მიმდინარეობს. ტურინგი იყო ადამიანი, რომელმაც საწყის ეტაპზე სხვებზე მეტი შეძლო.

სამწუხაროდ, ტურინგს დიდხანს არ უცოცხლია, რომ ენახა, როგორ ცხადდებოდა მისი წინასწარმეტყველება, განსაკუთრებით ტრანზისტორის გამოგონების შემდეგ მიღებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით და შემდგომში სილიკონის ჩიპის შექმნით.

ბევრი ფიქრობს, რომ თვითმკვლელობის მიზეზი მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია გახდა, რაც იმ დროს კრიმინალად ითვლებოდა.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ

„სვეტიცხოველო, დიდო ტაძარო....“

ალიონი. სვეტიცხოვლობას მიუძღვნა შრომის საჯარო სკოლამ მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია, რომელიც სოფლის კულტურის სახლში გაიმართა.

კულტურის სახლში შეკრებულ საზოგადოებას, რომელთა შორის ოზურგეთელი სტუმრებიც იყვნენ, მიესალმა სკოლის დირექტორი რუსუდან ცეცხლაძე. შემდეგ უფროსკლასელებმა თამარ მებურიშვილმა და გელა მჟავიამ წარმოადგინეს პროექტი „სვეტიცხოველო, დიდო ტაძარო....“

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება „ნინოს შემოსვლა ქართლში,“ კომპოზიცია „სვეტიცხოველი.“ კვლავაც შეუდარებელია პედაგოგ ნინო ჩხაიძის შემოქმედება. მეჩონგურე გოგონათა ანსამბლმა „ოცნება“მაყურებელთა ოვაციები დაიმსახურა. ასევე საინტერესოდ წარდგნენ დუეტი თომა ჭკუასელი და თამარ მერებიშვილი. სოფ. შრომის სკოლა არ ღალატობს ქორეოგრაფ ჯუმბერ დუნდუას მიერ შექმნილ ტრადიციას და ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბალავარმა“ (ხელმძღვანელები კირილე ყალიჩავა, ლიკა კვაჭაძე) ცეცხლოვანი ცეკვებით მოხიბლეს მაყურებლები. თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების წრემ (მარიკა ქვეითაია) „ბოშური“ საუკეთესოდ შეასრულა.

საქართველოს მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ ღვთისმშობლის ხატი გადასცა საჩუქრად სკოლას.

სკანვორდი

მოფერება
ბერძნული საფეხბურთო კლუბი
ლექსის ფორმა
ომში ნადავლი
თბილი სამოსი
ძვირფასმერქნიანი ხე
მინერალური სამკურნალო წყალი
მესამე პირის ნაცვალსახელი
რკინის კარები
მამლის ყივილი
ბრაზილიური სასმელი
... კარენინა
პატარა ხვრელი
უძველესი მარცვლეული კულტურა
ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ობურგეთში
ციხესიმაგრე დუშეთის რ-ნში
ზღვის და ხმელეთის ცხოველი
სამხედრო მანქანა
ადგილიდან მოწყვეტა
სომხეთის დედაქალაქი
თხის ჭურჭელი
ცივი იარაღი
მაჭრის ბუზი
მხალეული მცენარე
შეუგნებელი
მთავარი ბოძი
ქიმიური ელემენტი
ყვავილების ვაზა
ხევსბერი გოჩას შვილი
ინდოეთის დედაქალაქი
ქოფაკი
თავს შემოვლება
კარგი ამინდი
ლიტერატურული პრემია
ემირატების დედაქალაქი
ჯუჯა მცენარე
გიორგი მოფერებით
ჰოლანდიელი მხატვარი
ქალის სახელი
ქვასროლია ბიჭი
შოტლანდიაში ქალიც იცმევს და კაციც

№40-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ელდერ შენგელაია; კუჭიდან გამოყოფილი მასა - განავალი; გიჟი, შმაგი – ხელი; ისტორიული მონაკვეთი – ერა; ისტორიული ოლქი საფრანგეთში – ბურგუნდია; ყველაზე მაღალი კარტი – ტუზი; მწერი – ბუზი; პირველი პირის ნაცვალსახელი – მე; მინანქარი – ემალი; მდინარე მექსიკაში – აგუანავალი; ვიწრო შარვალი - რეიტუზი; ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში – ვენესუელა; სამლოცველო გმირის საფლავზე – ჰეროონი; ცნობილი ქართველი ფალავანი – რურუა; სახელმწიფო აფრიკაში – რუანდა; ხევისბერი გოჩას პერსონაჟი – ონისე; ალმა-ათის საფეხბურთო კლუბი – კაირატი; მთავარი სიტყვა – სეფე; პარკოსანი მცენარე – სოია; პატარა წისქვილი – ბუჭულა; ლეში – მძორი; ქალის სახელი – თეა; ჯამბაზი – მუშაითი; აბრეშუმის ქსოვილი – შიფონი; ხარის ყელზე შესაბნევი – აპეური; საბერძნეთის დედაქალაქი – ათენი; ქვიშით მკითხაობა – გეომანტია; დათესილი მიწის ნაკვეთი – ყანა; ქალაქი სახელმწიფო – პოლისი; თუთიყუში – რა; მახე – კაკანათი; მოჰამედ ალი – კლეი; კუნძულოვანი სახელმწიფო – სამოა; საფოსტო გზავნილი – ამანათი; გამობერილი მუცელი – ღიპი; სამედიცინო სითხე – სპირტი.

ოზურგეთის თეატრის გასტროლი კახეთში

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტის შესაბამისად, მიმდინარე წლის 31 სექტემბერიდან 10 ოქტომბრამდე ოზურგეთის თეატრი იმყოფებოდა გასტროლზე კახეთის რეგიონში. ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ვასო ჩიგოგიძის განცხადებით, გასტროლი რამდენიმე ასპექტით იყო მნიშვნელოვანი:

„ 29-წლიანი შესვენების შემდგომ ჩავიდა ოზურგეთის თეატრი თელავში. დახვედრა იყო შესანიშნავი, მართალია, მოხდა ტექნიკური გაუგებრობა, რის გამოც პირველ სპექტაკლზე მაყურებლის ნაკლებლობა იყო, მაგრამ შემდგომში ჩვენი თეატრის რეპერტუარი, რომელიც მოიცავს თანამედროვე ქართულ მწერლობას, უცხოურ კლასიკას და აბსურდის დრამატურგიასაც, წარმატებული აღმოჩნდა და უკვე ჩვენი თეატრის ავტორიტეტს მოჰყავდა მაყურებელი. გვაქვს ძალაინ კარგი გამოხმაურებები, შეფასებები კოლეგებისა და მაყურებლისაგან და ჩვენც კმაყოფილები ვართ ამ გასტროლის.

დიდი მადლობა ყვარლის, ახმეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელებს თანამშრომლობისათვის. დასკვნით სპექტაკლზე გურჯაანში 600 მაყურებელზე მეტი გვესწრებოდა. აღრფთოვანებული დარჩა კახეთის მაყურებელი დუმბაძის ნაწარმოების ასეთი წაკითხვითა და ოზურგეთის თეატრის შემოქმედებითი დონით. მადლობა მასმედიას, განსაკუთრებით აღვნიშნავ „რუსთავი-2“-ის დილის გადაცემასა და „პოსტ კრიპტიმუმს“, რომელმაც ორი დღე გაატარა ჩვენთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ კახეთის გასტროლს წინ უძღოდა, ასე ვთქვათ, მინი გასტროლი ხაშურში, სადაც „ჭკვიანი გიჟებს“ დაგხვდა შესანიშნავი მაყურებელი.“

სპექტაკლები ძირითადად თელავის თეატრში იყო ნაჩვენები, ახმეტაში, გურჯაანსა და ყვარელში –ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით „ჭკვიანი გიჟები“.

საკმაო დრო და რესურსი სჭირდებოდა „გიჟების“ ახალ გარემოში შემოქმედებითადად და ტექნიკურად მორგებას. ზოგან ჩვენი ტექნიკური პერსონლი ელექტრიკოსობას ითავსებდა, განათების პრიმიტიულ ან სერიოზულ პირობებს ეგუებოდნენ, დასი ახალ სცენას ირგებდა... ბუნებრივია, ეს არ იყო იდეალური პირობები, რადგან ზოგან თეატრის შენობა დაგვხვდა, ზოგან კლუბი.

საგასტროლო ტურნეს პარალელურად, ოზურგეთის თეატრი 7 ოქტომბერს თბილისში, გრიბოედოვის თეატრის მცირე სცენაზე, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ვასილ ჩიგოგიძის სპექტაკლი „ანტიგონე“.

ამიტომ ჩვენი რეცენზენტები აღმოჩნდა ნაცნობი და უცნობი ადამიანები:

„ – გაზრდილა თეატრში ახალი თაობა, რომელმაც შესანიშნავად წარმოგვიდგინა ანუის ტრაგედია. გილოცავთ. იმდენად კარგი სპექტაკლია ოზურგეთის თეატრის „ანტიგონე“, რომ ცოტა გული დამწყდა, ჩემს ახალგაზრდობაში რომ არ ვიყავი განებივრებული კლასიკოსი ავტორების პიესებში თამაშით. წარმატებული ყოფილიყავით მუდამ.“ – ამირან ქადეიშვილი.

„ – სპექტაკლს მთლიანად ვერ გავარჩევ ახლა, რა თქმა უნდა. საერთო აზრი დადებითია. ძალიან კარგია თვითონ ანტიგონე, მისი განცდები. კრეონი სასურველია იყოს უფრო დახვეწილი, მისი მრწამსი, დამოკიდებულება არ მოდის მაყურებლამდე.“ - გუბაზ მეგრელიძე, თეატრალური კრიტიკოსი.

„ – ამ თეატრის ბოლო, საკმაოდ ნაყოფიერ პერიოდს თვალყურს ვადევნებ. ძალიან ბევრს ნიშნავს როდესაც თეატრის აფიშაზე ჩნდება იონესკუ, შექსპირი, ანუი და თეატრმა ამ რთულ ამოცანებს თავი გაართვა. „ანტიგონეს“ საქართველოში ძალიან მდიდარი სადადგმო ისტორია გააჩნია, თბილისშიც და თბილისის გარეთაც. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის გარეთ დადგმულ „ანტიგონეთა“ შორის დღეს ვნახე ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაცია. მსაიობთა ნამუშევარი ბევრი მომეწონა, შეიძლება მქონდეს პატარა შენიშვნები. მთავარია, რომ დარბაზში სრულ ემოციურ ექოს იძენდა სცენაზე მიმდინარე ისტორია. წარმატებებს ვუსურვებ თეატრს, მისი ცხოვრება ძალიან საინტერესოდ არის დაგეგმილი და ვუსურვებ ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებას.“ - ნუგზარ ლორთქიფანიძე, რეჟისორი.

თელავის თეატრის თანამშრომელმა ორმა ქალბატონმა თავად მთხოვეს მათი შთაბეჭდილება და სამადლობელი მოგვესმინა:

„ – მადლობა ასეთი კარგი სპექტაკლისათვის, რომელსაც უცრემლოდ ვერ უყურებ. ვულოცავ მთელ დასს ამ წარმატებას“. - დარეჯან მინდორაშვილი, უფროსი კაპელდინერი.

„ – ოცდახუთი წელიწადია აქ ვმუშაობ, არასოდეს გამომოჩენია ინიციატივა, მაგრამ დღეს მინდა გამოვხატო ჩემი დიდი პატივისცემა ოზურგეთის თეატრის მიმართ, განსაკუთრებით „ჭკვიანი გიჟები“ მომეწონა და მატირეთ კიდეც.“ –მანანა ქუმსიკაშვილი.

ანალოგიური იყო ყვარელის, გურჯაანისა და ახმეტის შეფასება:

„ – ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ. ნადვილი სახელმწიფო თეატრი ხართ. სასიამოვნო იქნება თუ კიდევ გვეწვევით. “ ნანი როსტომაშვილი, ყვარელი.

„ – გადავსებული ვართ ემოციებით. უღრმესი მადლობა რომ არსებობთ, რომ ჩამოხვედით ჩვენთან, რომ გაქვთ რეგიონებში გასვლის პროგრამა. დიდი მადლობა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, კულტურის სამინისტროს ასეთი პროექტისათვის და თითოელ თქვენთაგანს. ნოდარ დუმბაძე ჩემთვის არის საქართველო. ემოციებით სავსე ვარ, მადლობა.“ - ფიქრია ხოხობაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი.

„ – იმდენი ვიტირე, იმდენი, რომ არ ვიცი...“ - ყულამაზაშვილი თინა.

„ – სასიამოვნო იყო, აღფრთოვანებული ვარ თქვენი ნათამაშით. დუმბაძეს გურულები რომ თამაშობენ ისე ვერავინ ითამაშებს. ძალიან მადლობელი ვართ და გელოდებით სხვა დროსაც.“ - ხათუნა თურმანაული.

„ – მონატრებულია ახმეტა ამგვარი ტიპის ღონისძიებებს, სპექტაკლებს, მოხარული ვართ რომ ჩამოხვედით. მშვენიერი სპექტაკლი იყო და მშვენივრად ითამაშეს.“ - კახა მამულაიშვილი, ახმეტის კულტურის ცენტრის დირექტორი.

სამომავლოდ, ოზურგეთის თეატრი გაარძელებს სხვა ქალაქებში თეატრალური დეკადების პრაქტიკას.

ლია კილაძე

„მერცხალს“ დროული შველა სჭირდება

ალიონი. ბოლო წლებში ოზურგეთში ერთი და იგივე სცენარით იწყება და გრძელდება ჩემპიონატი. თითქმის არ იცვლება სამწვრთნელო შტაბი, მხოლოდ პერიოდულად ტოვებენ პოსტებს და შემდეგ კვლავ ბრუნდებიან. ვფიქრობდით, წელსაც შეიცვლებოდა რაღაც....

აუგს ვერ ვიტყვით ადგილობრივ მუნიციპალიტეტზე, რადგან ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე დამონტაჟდა 4 ათას ცალზე მეტი სკამი, ხელახლა შემოიღობა საფეხბურთო მოედანი, გარემონტდა ლოჟები, გასახდელები და ა.შ. მუნიციპალიტეტი ეხმარება კლუბს სხვა აუცილებელი პრობლემების გადაჭრაში და ამაზე მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება, - გაცილებით მეტი, ვიდრე სპორტის სხვა სახეობებში.

რა მოეთხოვებოდა კლუბის დირექციას? სწორად შეერჩიათ სამწვრთნელო შტაბი და შემდეგ მწვრთნელებს სწორად დაეკომპლექტებინათ გუნდი, ადგილობრივი თუ ჩამოყვანილი ფეხბურთელებით, მომზადებული შეხვედროდნენ სეზონს.

ხარიტონ ჩხატარაშვილი უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელია, მაგრამ წელსაც ან წინა წლების დაშვებული შეცდომები გაიმეორა, ან გაერთიანებული (სტადიონი, კლუბი) დირექცია ზედმეტად ერეოდა გუნდის დაკომპლექტების პროცესში. ფაქტი ერთია, ამჟამად „მერცხალი“ ერთ-ერთი სუსტი გუნდია პირველი ლიგის გუნდებს შორის. გუნდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რითი უნდა აიხსნას ბოლოსწინა ტურში ქედაში ბერიშვილისა და მაჭავარიანის საქციელი, რის გამოც მათ 3-3 თამაშის გამოტოვება მოუწევთ. (ეს მატჩი 1:6 წააგო „მერცხალმა“). ხარიტონ ჩხატარაშვილმა ისე დატოვა პოსტი, არც კი ჩათვალა საჭიროდ განცხადება გაეკეთებინა, რა გახდა მიზეზი გუნდის ასეთი ფიასკოსი, მით უმეტეს, როცა წელს პირველ ლიგას 5 გუნდი დაემშვიდობება. ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ჩხატარაშვილის წასვლა ლევან კობიაშვილის „რეპრესიებს“ უკავშირდება. რეპრესიების რა გითხრათ, მაგრამ „მერცხალის“ საქმე მაშინ წავიდა ცუდად, სტადიონი და საფეხბურთო კლუბი წინა ხელისუფლებამ პოლიტიკურ „თავშესაფრად“ რომ აქცია და ფეხბურთის განვითარებისა და სტადიონის ინფრასტრუქტურისთვის გამიზნული თანხები „სანდო ხალხის“ ხელფასებზე რომ გადამისამართდა. გურიის ფეხბურთის ფედერაციის დამოკიდებულება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის არჩევნებისადმი, ამის მაგალითი არ არის?

10 ტურის შემდეგ (2 მოგება, 2 ფრე, 6 წაგება, ბ/შ 10 – 23, 8 ქულა) „მერცხალი“აუტსაიდერთა შორისაა. ამ ტურის წინ ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ 9 ქულა ჰქონდა და ოზურგეთში წაგების შემთხვევაში მას „მერცხალი“ 2 ქულით გაასწრებდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ჩხოროწყუდან ჩამოსულ 50-მდე გულშემატკივარი კმაყოფილი ადევნებდა თვალს თავიანთი გუნდის გააზრებულ იერიშებს, ამხნევებდა და შესაბამისი შედეგით დაბრუნდნენ შინ. (ანგარიში 1:2; გოლები: თემურ შარაშენიძე (მე-4 წთ. პენალტით), ამირან წაბრია (მე-11 წთ), იაგო დეისაძე (64 წთ).

რაც შეეხება ოზურგეთელ გულშემატკივრებს, ისინი გულგატეხილნი არიან და ამბობენ: რატომ ვერ ხერხდება კარგი გუნდის შექმნა; ვის ინტერესებს ეწირება ამ ქალაქის საფეხბურთო ტრადიციები?

გუნდის ამჟამინდელ ხელმძღვანელები (აკაკი ათუაშვილი, იური ჩხაიძე, მერაბ ვანიძე, კახა როხაძე), იმედია შეხვდებიან ჟურნალისტებს, საზოგადოების წარმომადგენლებს და გააცნობენ მათ, თუ როგორ აპირებენ ისინი კრიზისული სიტუაციის შეცვლას. მით უმეტეს, ბერიშვილისა და მაჭავარიანის მსგავსად ხინთიბიძესაც მოუწევს მატჩების გამოტოვება. გუნდი ფაქტიურად თავდამსხმელების გარეშე დარჩა. ხელშეკრულებები კი ფეხბურთელებთან ერთწლიანია და მისი შეწყვეტის შემთხვევაში, კლუბს ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მაინც მოუწევს მათზე ხელფასის გაცემა. უნდათ თუ არ უნდათ, ათუაშვილი-ჩხაიძე-ვანიძე-როხაძის „კვარტეტს“ ამ შემადგენლობით მოუწევთ სეზონის დასრულება.

მომდევნო შეხვედრას „მერცხალი“ წყალტუბოში, ადგილობრივ „სამგურალთან“ გამართავს.

ზაზა დამენიას საფლავზე

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, ქ. ოზურგეთში ზაზა დამენიას საფლავზე, ეროვნული გმირის დაბადების დღესთან დაკავშირებით ზაზა დამენიას სახელობის სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და ყვავილებით შეამკეს გმირის საფლავი. ეროვნული გმირის საფლავზე თაიგული მიიტანა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემაც.

შემდეგ მოსწავლეებმა მხატვრული პროგრამა წარმოადგინეს. ზაზა დამენია მოიგონეს პედაგოგებმა მზია სარიშვილმა, ლია მურვანიძემ. სიტყვით გამოვიდა ავღანეთის გმირის ალექსანდრე ტულუშის დედა თინა გოგუაძე.

ზაზა დამენიას დედამ ციური წერეთელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატს ჭადრაკში ურეკმა მეორედ უმასპინძლა

საქართველოში ჭადრაკის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ შარშან საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში საკლუბო ჩემპიონატების გამართვას, რისთვისაც რეგიონალურ ფედერაციებს მიეცა რეკომენდაცია ადგილებზე დაფუძნებულიყო საჭადრაკო კლუბები. შარშან რეგიონალური ნიშნით 10-ზე მეტი კლუბი დაფუძნდა. "საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაში მონაწილეთა რაოდენობა თავიდანვე 8 გუნდით განისაზღვრა, რომელშიც მონაწილეობის უფლება, სათანადო კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბმა "გურიამაც"(პრეზიდენტი ზურაბ ანდღულაძე) მიიღო. შარშან "გურიამ" კარგად ისახელა და უკან ჩამოიტოვა შიდა ქართლის, სამეგრელოს დ სამცხე- ჯავახეთის საკმაოდ ძლიერი გუნდები და უმაღლეს ლიგაში მყარად შეინარჩუნა ადგილი.

წელს საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ურეკში მეორედ გაიმართა და მას ისევ სანატორიუმი "კოლხიდა" მასპინძლობდა. რვა კლუბი წრიული სისტემით, გუნდურად დაუპირისპირდა ერთმანეთს საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში. ჩემპიონატი საინტერესო იყო იმით, რომ მასში მონაწილე 48 მოჭადრაკედან, 18 დიდოსტატი და 14 საერთაშორისო ოსტატი იყო. მონაწილეთა შორის იხილავდით ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებს, ასევე მაღალრეიტინგიან და ტიტულოვან დიდოსტატ მოჭადრაკეებს, დებულებით გუნდები 6 დაფაზე დაუპირისპირდა ერთმანეთს. როგორც წესი, პირველ სამი დაფა მამაკაც მოჭადრაკეებს ეკავა, მეოთხე დაფა ქალი მოჭადრაკეებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მე-5 და მე-6 დაფაზე, შესაბამისად, 20 წლამდე ასაკის ვაჟი და გოგონა ასპარეზობდა.

საკლუბო ჩემპიონატების შესახებ ფიდეს შესაბამისი დებულება საშუალებას იძლევა სპორტულ კლუბებში ადგილობრივ მოჭადრაკეებთან ერთად, სათამაშოდ მოწვეული იყოს, როგორც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები, ისე უცხოელებიც. წელს ამ უფლებით კარგად ისარგებლა სამეგრელოს და რუსთავის კლუბებმა, რომლებიც უცხოელი მოჭადრაკეებით გაძლიერებული ჩამოვიდა ურეკში. მაგალითად, სამეგრელოს კლუბს რეგიონში მცხოვრები არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყოლია .კლუბის 6-დან 5 დიდოსტატი რუსეთიდან და უკრაინიდან, ერთი კი თბილისიდან იყო მიწვეული, რომელთა საშუალო რეიტინგი, ფიდეს მონაცემებით, 2500-ს ბევრად აღემატებოდა, რუსთავში 2 მაღალრეიტინგინი და ტიტულოვანი მოჭადრაკე რუსეთიდან იყო მოწვეული, ბათუმელებს პირველ დაფაზე ბრაზილიელი საერთაშორისო დიდოსტატი ჰყავდათ. იგივე შეიძლება ითქვას, სხვა რეგიონებზეც რომლებმაც შეძლეს ქვეყნის წამყვანი მოჭადრაკეების დაინტერესება და ამით თავიანთი კლუბების გაძლიერება. ჩემპიონატის დასაწყისშივე, საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად სწორედ ეს კლუბები მოიაზრებოდა. რომელთა ასპარეზობის ძირითადი მიზანი ევროპის ჩემპიონატის საგზურისა და საკმაოდ სოლიდური ფულადი პრიზის (მთლიანი საპრიზო ფონდი 30 ათასი ლარი) მოპოვება იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის გამგეობამ და ქალაქის მერიამ, როგორც ჩემპიონატის მასპინძლებმა, ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს.

რეგიონის სახელით მოასპარეზე ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი" გურია" ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით წარსდგა ჩემპიონატზე. მის ღირსებას იცავდნენ (დაფების მიხედვით)-ბაჩანა მორჩილაშვილი, ნიკოლოზ ჩხაიძე, მინდია ჩხიკვიშვილი, ანა შამათავა, ალექსანდრე ებრალიძე და ქეთევან ხომერიკი. მათი საშუალო ასაკი 23 წელს არ სცილდებოდა და ბუნებრივად რეინტიგული მონაცემებიც სხვებზე ბევრად ნაკლები ჰქონდათ (საშუალოდ 2145). ამიტომ ,"გურიას" ძირითადი ამოცანა იყო ღირსეულად გამოსულიყო ჩემპიონატზე, ბოლო ადგილზე არ მოხვედრილყო და ამით უმაღლეს ლიგაში ადგილი შეენარჩუნებინა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამოცანას კარგად გაართვეს თავი, ორი პრინციპული შეხვედრა მოიგეს, მათ შორის ერთი, რაჭალეჩხუმის საკმაოდ ძლიერ, "ამბროლაურთან"-(4-2), და მეორე, დიდოსტატებით დაკომლექტებულ ,და ფავორიტად აღიარებულ, კახეთის გუნდთან (3,5-2.5), რომელთანაც საბოლოოდ მე-6-7-ე ადგილები გაიყო. გუნდში განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა - ანა შამათავამ, ქეთევან ხომერიკმა და ალექსანდრე ებრალიძემ, რომლებმაც თავიანთ დაფებზე მოგებით შეძლეს პრინციპულ მატჩებში გუნდური გამარჯვების მოპოვება. ოზურგეთელთა მიერ ნათამაშები 42 პარტიიდან თითქმის ყველა, თანაბრად და საინტერესოდ მიმდინარეობდა, თუმცა ჩვენები პარტიის დაბოლავებაში ხშირად სცოდავდნენ. მათ ასეთი მაღალი დონის და წარმომადგენლობის შეჯიბრებაში მონაწილეობის მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, შედეგსაც ბევრად უკეთესს დადებდნენ.

საპრიზო ადგილების ბედი ძალზე დაძაბულ სიტუაციაში გაირკვა. სამეგრელოს გუნდი, რომელმაც 6 ტური დაუმარცხებლად ჩაატარა (12 ქულა), ბოლო, მე-7 ტურში 10 ქულიან ქვემო ქართლის" რუსთავს" ხვდებოდა. რუსთაველებს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს და ისიც არანაკლებ ორი ქულის სხვაობით. დაძაბული ბრძოლა რუსთაველებმა 3,5-2,5 -ით კი მოიგო, მაგრამ ნახევარი ქულა დააკლდა ოქროს მედლებისა და 15 ათასი ლარი ფულადი ჯილდოს მისაღებად., რაც „სამეგრელოს" რუსმა და უკრაინელმა მოჭადრაკეებმა, მათთან გუნდში მოასპარეზე დიდოსტატ მაია ლომინეიშვილთან ერთად გაიყვეს. „რუსთაველები" კი ვერცხლის მედლებს და 10 ათას ლარს დაყბულდნენ. რაც შეეხება მესამე ადგილს, აქაც დაძაბულობას ჰქონდა ადგილი. თბილისელებს ყველაზე კარგი შანსი ჰქონდათ მესამე ადგილზე გასულიყვნენ, ,მაგრამ ვერ მოახერხეს და, როგორც შარშან, წელსაც სამეულს გარეთ დარჩა. თბილისის „თბილისს", ბათუმის „ნონას" და იმერეთის „იმერეთს" თანაბარი (8-8) ქულა დაუგროვდათ, მაგრამ „იმერლებს უკეთესი ჯამური მაჩვენებლით ბრინჯაოს მედლები და 5 ათასი ლარი ფულადი ჯილდო ერგო.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვას უძღვებოდა საართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,დიდოსტატი გიორგი გიორგაძე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს და ჩემპიონატის მონაწილეებს სიტყვებით მიმართეს გურიის გუბერნატორის მოადგილემ გია ებრალიძემ, ქოზურგეთის მერმა ბეჟლარ სიორიძემ, ოზურგეთის თემების და ქალაქის მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეებმა დავით დარჩიამ და გელა კობალაძემ, ასევე ქალაქების ფოთის, თელავის და ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

დახურვაზე განსაკუთრებულად აღინიშნა თბილისის სახელით მოასპარეზე 17 წლის ნინო ხომერიკის წარმატება, რომელმაც ურეკში ჩამოსვლამდე ერთი კვირი ადრე, ხორვატიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.(იგი წარმოშობით სოფ.შრომიდანაა)

23 ოქტომბერს სტარტი აიღო ოზურგეთის საჭადრაკო ჩემპიონატმა, რომელიც 1 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ზურაბ ანდღულაძე
საჭადრაკო კლუბი" გურიას"
პრეზიდენტი

ავტომობილები განვადებით

მიცუბიში აირტეკი – 2002 წ. – 1350
პაჯერო იო – 2002 წ. – 1700
ტოიოტა ვოქსი – 2004 წ. – 1250
ტოიოტა პასსო – 2010 წ. – 1600
ტოიოტა რავ-4 – 2000 წ. – 3100
ნისან ტიიდა – 2005 წ. – 1400
ნისან მარჩი – 2004 წ. – 1000
ნისან ფუგა – 2005 წ. – 2100
ჰონდა ფიტი - 2008 წ. – 1650
ჰონდა ცრვ – 2003 წ. – 2400
ფონდა სივიკი - 2003 წ. – 1200
მაზდა დემიო – 2003 წ. – 900
მაზდა მპვ – 2004 წ. – 1100
მაზდა ტრიბუტე – 2003 წ. – 1300
სუზუკი ქარი ტრიუკი – 1999 წ. – 1150
სუბარუ ფორესტერ – 2002 წ. – 1350
სუბარუ ლეგასი – 2005 წ. – 1700
სუბარუ ოუტბაქსი – 2004 წ. – 1550
მერსედესი ე კლასი – 2003 წ. – 3700
ბმვ 525ი – 2004 წ. – 4050

ფასები მითითებულია აშშ დოლარში

მანქანის ჩამოსვლის შემდეგ იხდით კონტეინერის თანხას

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

რ

ლუკა ტატურაშვილის პირველი ადგილი

ალიონი. ქ ბათუმში ჩატარდა ცნობილი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონის დავით ბედინაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდნენ რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები. ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა ლუკა ტატურაშვილიმა 69 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. მწვრთნელი – გურამ მაჭარაშვილი.

ოზურგეთელი მძლეოსნების წარმატება ახალციხის ღია პირველობაზე

ალიონი.17-18 ოქტომბერს ქალაქ ახალციხეში ჩატარდა ახალციხის ღია პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. შეჯიბრება ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქალაქ ოზურგეთის ნაკრები გუნდი 8 სპორტსმენით მონაწილეობდა.

1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის ბადროს ტყორცნაში ჩემპიონი გახდა ნანი პაკელიანი, მანვე ბირთვის კვრაში მეორე ადგილი დაიკავა.

სიგრძეზე ხტომაში 2001-2003 წლებში დაბადებულთა შორის გაჩემპიონდა ბადრი გოგიტიძე, მანვე მეორე ადგილი მოიპოვა 60 მეტრზე რბენაში. 60 მეტრზე რბენაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის მეორე ადგილი მოიპოვა ამირან თავართქილაძემ. 4X100 მეტრზე რბენაში მესამე ადგილები დაიკავეს ზურაბ კაკურიძემ, ელენე ტოლსტოვამ. ელენე გოგიჩოვამ და ამირან თავართქილაძემ.

სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით. გუნდი მოამზადა მარინა კოტრიკაძემ.

იყიდება

400-კაციანი საბანკეტო დარბაზი ოზურგეთის ცენტრში.

ტელ. 593 95 61 83.

* * *

ქირავდება ფარნავაზ მეფის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩაზე ორსართულიანი სახლი, ავეჯით, საკარმიდამო ნაკვეთით.

ტელ. 599 29 14 18; 599 58 75 32.

7 დღის ამინდის პროგნოზი

26 ოქტომბერი, ორშაბათი	27 ოქტომბერი, სამშაბათი	28 ოქტომბერი, ოთხშაბათი	29 ოქტომბერი, ხუთშაბათი	30 ოქტომბერი, პარასკევი	31 ოქტომბერი, შაბათი	1 ნოემბერი, კვირა
წვიმა +12+16	ძლიერი წვიმა +10+14	მზე, ღრუბელი +7+16	მზე +7+15	წვიმა +12+15	წვიმა +11+16	წვიმა +13+15